ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი“ (საიდენტიფიკაციო კოდი:237079497)
დამფუძნებელთა სხდომის

ოქმი N1

ქ. თბილისი 2014 წლის 19 აგვისტო

სხდომას ესწრებოდნენ ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი“ (საიდენტიფიკაციო კოდი:237079497) დამფუძნებლები:

ეკატერინე მაჩიტიძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ლილე ჩხეტიანი - ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის (საიდენტიფიკაციო კოდი: 211325653) სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

დღის წესრიგი: ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი“ (საიდენტიფიკაციო კოდი:237079497) წესდებაში ცვლილების შეტანა.

დამფუძნებლებმა ერთხმად დაადგინეს:
შეტანილ იქნეს ცვლილება ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი“ (საიდენტიფიკაციო კოდი:237079497) წესდებაში და წესდების:

1. პირველი მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„6. ელექტრონული ფოსტის მისამართია: horizonti@gmail.com.“

2. მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 3. კოლეჯის მართვის ორგანოები და კოლეჯის სტრუქტურა
კოლეჯის მართვის ორგანოებია კოლეჯის დირექტორი და კოლეჯის დამფუძნებელთა კრება.“

3. მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. კოლეჯის დირექტორს ნიშნავს და ათავისუფლებს დამფუძნებელთა კრება.“

4. მე-5 მუხლის:
ა) „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„გ) დამფუძნებელთა კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის შინაგანაწესსა და ბიუჯეტს;
დ) დამფუძნებელთა კრებას შესათანხმებლად წარუდგენს საშტატო განრიგს და ხელფასის ფონდს;“
ბ) „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
ზ) არაუგვიანეს პირველი თებერვლისა, აბარებს ყოველწლიურ ანგარიშს დამფუძნებელთა კრებას კოლეჯის საგანმანათლებლო, ფინანსური და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ;
თ) უფლებამოსილია დადოს გარიგებები, ხოლო ისეთი გარიგებებს, რომელთა ღირებულებაც აღემატება კოლეჯის ბიუჯეტის 5%-ს, დებს კოლეჯის დამფუძნებელთა კრების თანხმობით.
გ) „კ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

5. მე-6 და მე-7 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. კოლეჯის დამფუძნებელთა კრება

1. კოლეჯის საქმიანობის საზედამხედველო ორგანოა დამფუძნებელთა კრება. დამფუძნებელთა კრებაში თითოეულ დამფუძნებელს აქვს ერთი ხმის უფლება.

2. კოლეჯის დამფუძნებელთა კრება ახორციელებს ამ წესდებით, საქართველოს კანონმდებლობითა და დამფუძლებლების მიერ განსაზღვრულ ყველა უფლებამოსილებას.

3. კოლეჯის დამფუძნებელთა კრება გადაწყვეტილებებს იღებს ერთობლივად.

მუხლი 7. კოლეჯის დამფუძნებელთა კრების უფლებამოსილებები

კოლეჯის დამფუძნებელთა კრება:

ა) ზედამხედველობს კოლეჯის დირექტორის საქმიანობას.

ბ) კოლეჯის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს კოლეჯის ბიუჯეტს.

გ) თანხმობას აძლევს კოლეჯის დირექტორს ძირითადი სტრუქტურული ერთეულების შექმნაზე და გაუქმებაზე;

დ) ამტკიცებს კოლეჯის პროგრამებს;

ე) ახორციელებს კოლეჯის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კონტროლს;

ვ) კოლეჯის დირექტორს აძლევს თანხმობას ქონების შეძენასა და გასხვისებაზე;

ზ) კოლეჯის დირექტორს აძლევს თანხმობას სესხის აღებაზე;

თ) კოლეჯის დირექტორს აძლევს თანხმობას თავდებობაზე;

ი) ითანხმებს კოლეჯის დირექტორის მიერ წარმოდგენილ საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდს;

კ) აძლევს თანხმობას კოლეჯის დირექტორს ისეთი გარიგებების დადებისას, რომლის ღირებულებაც აღემატება კოლეჯის ბიუჯეტის 5%-ს;

ლ) ითანხმებს სხვა გადაწყვეტილებებს დაკავშირებულს კოლეჯის ქონებასთან, თუ ისინი სცილდება ამ წესდების მე-5 მუხლის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მ) უფლებამოსილი არის, შეაჩეროს ან გააუქმოს კოლეჯის არამართლზომიერი გადაწყვეტილება.“

6. IV თავის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის V თავი:

„თავი V

მუხლი 10. კოლეჯის წესდებაში ცვლილების შეტანა

კოლეჯის წესდებაში ცვლილების შეტანა ხორციელდება დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით.“

ეკატერინე მაჩიტიძე

ლილე ჩხეტიანი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სჯარი რეესტრის ეროვნული სააგენტო
შენაბეჭდი №263
თარიღი 12.12.2014 წ.
33 ... 2 ...

სამინისტრო
ული სააგენტო
03
200 წ.
...

ს სამინისტრო
ული სააგენტო
200 წ.
...